ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელ-არმიელი

წერილები უნდა იგზავნებოდეს ცალგვერდზე სუფთად დაწერილი ავტორის ხელმოწერით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერმოწერას არ აწარმოებს.

საქართველოს წითელ არმიის პოლიტგანყოფილების ორგანო.

მისამართი: რუსთაველის ქუჩა № 28.

№ 8. კვირა, 9 ოქტომბერი. 1921 წ. № 8.

## პოლონეთი და მისი საგარეო პოლიტიკის სამარცხვინო დამარცხება.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის თავზე დატეხილმა სიმშილობამ, ოცნებას ფრთები შეასხა ყველა ჯურის კონტრევოლიუციონერთ, და, აი მათაც, დაიმედეაულებმა ამ შიმშილობით, გადაწყვიტეს დაემხოთ მუშათა და გლეხთა ხელის უფლება, რომ ზედ აეგოთ მუქთა-ხორათა ბრძანებლობის ტახტი, დაშვენებული მშრომელთა სისხლში ამობანილ უწმიდურ დროშით.

ამისთვის იყო, რომ ამოძრავდენ რუსეთის შინაური შავი ძალები და დაიწყეს მთელი რიგი შეთქმულობის მოწყობა, საბჭოთა რესპუბლიკის წინაალმდეგ. მაგრამ მათ დასაწყისშივე მოუღო ბოლო რუსეთის ფხიზელმა მთავრობამ, რათაც, ასე ვსთქვათ, თავიდანვე მოქმედების აპეტიტი გაუფუჭა შინაურ ყვავ-ყორნებს.

მაგრამ ბურჟუაზიული ანტანტა შავი საფრანგეთის მეთაურობით მაინც არ ისვენებდა და ინტრიგას ინტრიგაზე აწყობდა, რითა დასუსტებული და სიმშილობით შეპყრობილი რუსეთი ჩაეთრია უსაშინელეს ომში, დარწმუნებული მასში, რომ ამ ომში ის დამარცხებული გამოვიდოდა. ამისთვის ის უმეგობრდებოდა პოლონეთს და რუმინიას და აქეზებდა მათ რუსეთზე წასასევათ...

და ეს წვრილი სახელმწიფოებიც, მიუხედავათ იმისა, რომ მათი ეკონომიური მდგომარეობა განიცდიდა საშინელ კრიზისს, სიამოვნებით ართმევდენ ხელს საფრანგეთს და მხიარულად განაგრძობდენ ცეკვას მის დუდუკზე. ამისთვის იყო, რომ საფრანგეთი დიდი დაიმედებული იმით, რომ ამ სახელმწიფოებით შეძლებდა ის რუსეთში საბჭოთა ძალა-უფლების დამხობას, აუარებელ იარაღს უგზავნიდა მათ, და ბოლოს, როდესაც იგრძნო თავის თავი ომისათვის კარგათ მომზადებული, პოლონეთს ულტიმატუმი წამოაყენებია რუსეთისადმი; სადაც ის მოითხოვდა რიგის ხელშეკრულების შესრულებას; წინაალმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა ომით.

ულტიმატუმის წამყენებელნი ფიქრობდენ: ,,რუსეთი სუსტია, უძლურია. მაშასადამე, ის ხმის ამოუღებლივ შეასრულებს რიგის ხელშეკრულებასო.

მაგრამ დახე მათ გაკვირვებას, როცა მათი აზრით, დაუძლურებულ რუსეთის კნავილის მაგივრათ, მათ მოესმათ ომახიანი და ვაჟკაცური კილოთი წამოსროლილი სათანადო პასუხი:

რიგის ხელშეკრულების პოლონეთის მხრითაც შესრულების შესახებ, რომელიც მოითხოვს რუსეთთან არა კეთილათ განწყობილ ელემენტების პოლონეთიდან გარეკას. ამ ვაჟკაცურ კილოში აშკარად დაინახეს პოლონეთის ავანტიურისტებმა, რომ რუსეთი არც ისეთი უძლური ყოფილა, როგორც მათ ეგონათ, რომ რუსეთი, მიუხედავათ სიმშილობისა, იმაზე უფრო მეტი ძლიერია და მომზადებულია ომისთვის, როგორიც იყო ამ ორი-სამი წლის წინად. გარდა ამისა, თვით პოლონეთის მშრომელმა ხალხმა, რომელიც მუდამ მეგობარია საბჭოთა რუსეთის, ერთად აღიმაღლა ხმა მათი გამყიდველ შავი მთავრობის წინაალმდეგ, რითაც დროზე ამოსდვა ლაგამი მათ გახსნილ მადას.

და აი, ყველა ამ ცოცხალი ფაქტების წინაშე მდგომა პოლონეთის მთავრობამ მშიშარა ყოყოჩა რაინდივით დაიხია უკან და ახლა სხვა ჰანგზე და ტონზე დაუწყო ლაპარაკი რკინის მუშტიან რუსეთს. ის შემდეგი თავის ნოტებში აცხადებს, რომ მას სრულებით არ ქონებია აგრესიული ზრახვანი რუსეთის წინაალმდეგ და, თუ ულტიმატუმი მაინც წაუყვნა, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ რიგის ხელშეკრულების რეალიზაცია მომხდარიყოვო.

მაგრამ ამის თქმის მეტი, რადარჩენია ახლა პოლონეთის მთავრობას და მის ავან ჩავანებს. ასეა, თუ ისე, ერთი მაგარი მორალური დამარცხება მაინც იწვნია პოლონეთის მემამულეთა მთავრობასთან ერთად მთელმა ანტანტამ და ეს კი იმედი ფრთებს ასხავს ყველა კომუნისტს და ისიც კიდევ უფრო მეტი გაასკეცებული ენერგიით და ძალღონით შეუდგება საერთო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი მუშაობასთან ერთად, თვისი მფარველ წითელი-ჯარის გამაგრებას და გამტკიცებას.

## პურს ტყუილა ნურავის ვაჭმევთ.

ჩვენს სამოქალაქო დაწესებულებებში, როგორც ვიცით, უკვე დაიწყო განტვირთვა. მხოლოდ სამხედრო დაწესებულებები ჯერ არ გვიხსენებია. განტვირთვა კი მას არა ნაკლებ სამოქალაქოსი ესაჭიროება.

საზოგადო ზნე და ხასიათი იყო ძველი ჩინოვნიკის, რომ ის უფროსათ მხოლოდ მაშინ გრძნობდა თავს, თუ რომ მის განკარგულობაში ბევრი პირი იყო, თურომ მის დაწესებულებას ბევრი ოთახი ეჭირა. სამწუხაროდ, ამ ზნეს დარჩა ადგილი ჩვენს ხელისუფლების დროსაც. გახედავ და დაწესებულებაში ისე იშლებიან ერთი-მეორეში თანამშრომელნი, ვით აბრეშუმის ჭია. ამ მხრივ, მე ვამბობ, დიდ საშინელებას წარმოადგენდა სამოქალაქო დაწესებულებები. სამხედრო კი მათ არ ჩამოურჩება.

რომელ სამხედრო დაწესებულებაში კი არ უნდა შევიდეთ, პირველათ [illegible], თვალში გეცემათ ,,შერ[illegible] ბანოვანთა ან დერეფანში უქმათ მოსეირნე ანდა პაპიროზით პირში.

შორს რომ არ წახვიდეთ, თუ გინდ მომარაგების სამმართველო ნახეთ. ყოველ წუთს, როცა კი არ უნდა მიბრძანდე, შეხვდებით იქ უქმათ მოხეტიალე თანამშრომ ქალებს. ერთად-ერთი საზრუნავი მათთვის ხვედრი ულუფის აღება და დროს კითხვაა.

ბევრ ნაწილებში ყურადღებას იქცევს კიდევ ე. წ. ტელეფონზე მომუშავე ქალთა რიცხვი. საკავშირო ბათალიონში, მაგალითად, ასეთების რიცხვი 8 კაცს აღემატება, თურმე.

საკვირველია ასეთი შერენგა, რათაა საჭირო?

ამ მხრივ მაგალითი, რომ პოლიტიკურ განყოფილებიდან ავიღოთ, საქმე ბევრად კარგათ წავიდოდა.

იქ, მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთს ბათალიონზე ნაკლები სამუშევარი. მას არ აქვს, ტელეფონზე მუშაობს მხოლოდ ერთი ქალი. მე მგონია, პოლიტიკურ განყოფილებაშიდაც ჩვეულებრივი ქალები მსახურებენ და არა ჯადო-ქრები.

მაშ, რათ არის ეს ასე? რათაა დატვირთული ჩვენი დაწესებულებები? ერთად ერთი პასუხი აქ მხოლოდ დაუდევრობაა, მშრომელი ხალხის ქონების ფლანგვის და დაქსაქსვის სურვილი

ის, ვინც დღეინდელ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს, ის ვინც სჭირია და არ სჭირია ავსებს შტატს და ამნაირად ტყუილ უბრალოდ აჭმევს პურს მთელ შერენგას ხალხისას, ხალხის მტერია.

და, როგორც ასეთი, იგი განდევნილ უნდა იქნეს საბჭოთა დაწესებულებიდან.

ვისაც მშრომელი ხალხის ინტერესები არა სწამს, ის ვერ [illegible]გება მშრომელ ხალხს.

ამას დიდი და საჩქარო ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაუნდა მიაქციოს პოლიტიკურმა განყოფილებამ და, რაც შეიძლება, ჩქარა გაანთავისუფლოს სამხედრო ნაწილები ზედმეტი პირისაგან.

მშრომელი ხალხის ოფლით მოყვანილ პურს, ტყუილად ნუღვის ვაჭმევთ.

პ. ბ—ძე.

## მივბაძოთ ბაქოს მაგალითს ჩვენაც.

ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა დაწესებულებების არხივებში ინახება აუარება წიგნები, საწერ ქაღალდებით. ამავე დროს კი, ჩვენ განვიცდიდით საწერ ქაღალდების დიდ ნაკლებობას. კარგი იქნებოდა, რომ ეს დღეს არხივებში შენახული საწერი ქაღალდები გამოყენებულ იქნეს კანცელარიებში სამუშაოდ, მსგავსად ბაქოსა, სადაც ასეთივე ხასიათის მდგომარეობას ქონდა ადგილი. იქ საწერ ქაღალდების ნაკლებლობის გამო, მოაწყვეს ერთ დღეს შაბათობა, რამაც შედეგათ ის მოიტანა, რომ ძველი შკაფებიდან გამოტანილი და დასუფთავებული იქნა დიდძალი საწერი ქაღალდი, რითაც რამოდენიმე ხნით უზრუნველყვეს ბევრი დაწესებულებანი.

მივბაძოთ ბაქოს მაგალითს ჩვენაც. და ამით ავიშოროთ თავიდან საწერ ქაღალდის კრიზისი.

ე. მეგენეიშვილი.

## სამხედრო კომისართა კრება.

საქართველოს წითელი-არმიის პოლიტიკური განყოფილების თაოსნებით ამ ერთი თვის წინეთ შესდგა ყველა ნაწილების სამხედრო კომისართა საერთო პირველი კრება.

ჩვენი არმია ჯერ ნორჩია; იგი განიცდის ორგანიზაციონულ პერიოდს. ესეც რომ არ იყოს, არმია ეს ცოცხალი ძალაა.

იქ ყოველთვის აქვს ადგილი მუდმივ ცვალებადობას.

ცხოვრება მიდის წინ; ცოცხალმა ორგანიზმმაც მას უნდა გადიოს. არმიამ კი, როგორც ცოცხალმა ორგანიზმმა, უნდა ფეხდაფეხ მისდიოს ცხოვრების ჩარხის ტრიალს: დაიწუნოს და მოიცილოს ყოველივე ის, რაც დრო მოჭმულია; შეითვისოს და შეიხორცოს ახალი და საჭირო.

ამიტომ საჭიროა, არმიის ხელმძღვანელები ხშირად ხვდებოდენ ერთი მეორეს პირის-პირ. თუ ეს ასე ითქმის საზოგადოთ, მით უფრო ადვილათ ითქმის ჩვენი არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ინსტიტუტზე.

პოლიტიკური ხელმძღვანელი ჯარში ახალი ხილია; არც ერთს სახელმწიფოს ასეთი შტატი არა აქვს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ წითელ ჯარში. ამ მხრივ რუსეთის ჯარიც ახალგაზდათ ჩაითვლება; ჩვენსაზე ხომ ლაპარაკი მეტია.

რამდენათ ჩვენი ჯარია ახალგაზდა, იმდენათ ახალგაზდაა მისი პოლიტიკური ხელმძღვანელებიც.

ჩვენ შეძლება არა გვაქვს მოვხსნათ პოლიტიკური მუშაკი და შევასწავლოთ მას პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ის მდგომარეობა კი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ნოითხოვს მრავალ საკითხების ახსნა—განმარტებას და გადაჭრას.

აი, სწორეთ ამ მიზნით დაადგინა ჯერ კიდევ პირველმა ყრილობამ, თვეში ორჯელ მოხთეს სამხედრო კომისართა კრება. ამ კრებაზე, ვიმეორებთ, უნდა გაირჩეს ის საჭირბოროტო საკითხები, რომელიც თვითეულ კომისართაგანს აწუხებს, მაგრამ საკუთარი ინციატივით ვერ გადაუჭრია.

ამ კრებებმა უნდა გაწიონ სკოლის ერთნაირი მაგივრობა ეს ნათლად უნდა წარმოიდგინოს თვითეულმა ჩვენთაგანმა და კრებები სამიტინგო სიტყვების სალაპარიკოთ არ უნდა გადააქციოს.

პიერ.

## წითელი მხედრის საფლავზე

ეტიუდი.

ძველ სარდაფში, სველ კედელთან შურის ცეცხლით ანთებული,
ზის მხედარი მწარე ხვედრით, ძალზე უცემს მკერდში გული.
ფიქრთა ზღვაში დანავარდობს მისი სულთქმა, გულის ძგერა,
სიდუხჭირემ ვერ დასძალა, მომავალი სწამს და სჯერა!..
გვერდით ხედავს თვის პაწიას, მშიერსა და ფერ მილეულს,
იქვე ახლოს მის მშობელსა, მოუვლელს და მისებრ სნეულს.
ხედავს ამას და თან ბოღმა განივრად სწევს გულის ბუდეს,
რომ ცხოვრება დრომ, შავ-ბედმა შეუღახეს, შეუზღუდეს...
აგონდება სივაგლახე, სიდუხჭირე, ტანჯვის წვიმა,
სიყრმის დღიდან აქამომდე—ბედმა, რომ არ გაუღიმა!
და ცეცხლისებ ანთებული, გულის რევით ხელებს ისრესს,
ლანდათ ხედავს, რომ თვალ-წინ მას მეგობრები დაუისრეს!..
თან არ იცის, რით აუზღოს მაგიერი ურჩ მტარვალებს,
სულის ღელვით გული ეწვის, ატრიალებს ცეცხლის თვალებს.
ბრძოლა უნდა... შფოთი იპყრობს... ირკეცდება ფიქრი, გრძნობა,
და ამ შფოთვით მოქანცული, იქვე კედელს მიეყრდნობა.

—

ღამე არის... მძაფრი ქარი ზამთრის სუსხსა მოგაგონებს,
შემოდგომის შუქი მთვარის გულს, ხან ალხენს, ხან აღონებს;
და მიდამო გაძარცული მუნჯად შესცქერს სოფლის ქოხებს,
იქ კი ზევით თეთრი თოვლი დაფენია მთის ორწოხებს.
გმირ მხედარს კი სველ კედლებში ძილი თვალს არ ეკარება,
ნაცადია ჭირ-ვარამის, არ სჩვევია ნეტარება, —
არ სჩვევია მოსვენება, წრფელი გულის ნატყორცნ ისრებს,
არც უწყის, თუ ხვალინდელი, დღე რა შავ ხვედრს დააკისრებს!—
და ჰა, დახეთ! საყვირის ხმა, ბრძოლის ველზე გამომწვევი,
უკრავს დაფი, კვნესის დოლი გმირის სმენას შენაჩვევი...
ამ დროს, ვიწრო სარკმელიდან მთვარემ შუქი შემოსტყორცნა,
გმირი ადგა ჯერე ცოლი, მერე შვილი გადაკოცნა...
მოიმარჯვა თოფი ხელში, გადაიდო გვერდზე ხმალი
და გასწია ისე, რომ ცოლს არ მოუკრავს მისთვის თვალი!
დარჩა მარტო დავრდომილი, უიმედო და სნეული!
ცალკე შვილიც ხელით ეცლება? მშიერი ქანც, მილეული...
— დედა! მამა, რას მოგვიტანს, სად წავიდა, როდის მოვა?!
— მოვა, შვილო! უთხრა დედამ, პასუხი რა სხვა ვერ პოვა.
და მწუხარე კიდევ უფრო შავს ბოღმაში გაეხვია,
მოუბრუნდა თვის პაწაწას და გულ მკერდში ჩაიხვია.
თან აცრემლდენ ორთავენი, ცხარე ცრემლთა ხშირი დენით,
მოშხამული ასეთ ხვედრით, მოწამლული მწარე დღენით!

——

ბრძოლის ველი .. ხმალთ ჩხარუნი, მწყობრ თოფთა ხმა, ჰა, გრიალებს;
ზოგი კვდება .. ჰა, დაჭრილი კვნესის, გოდებს, თან ღრიალებს...
შეწყდა ბრძოლა... მტერი გარბის რა იგემა დიდი მარცხი,
გარბის უკან, უგზო უკვლოდ, გარბის, თავ პირ დანაფარცხი!..
ბევრი არის დახოცილნი და დაჭრილნი ორთავ მხარეს,
მაგრამ მაინც გამარჯვება თითქოს აქრობს სიმწუხარეს.
დაჭრილთ რიცხვში ჩვენი გმირიც გდია მარტოდ, ცოცხალ მკვდარი,
მოსჩქეფს სისხლი ღრმა წყლულიდან, სასიცოცხლოდ აღარ არი...
სიკვდილის წინ სასო მიხდილს ცოლი, შვილი მოაგონდა,
და გულისა სუსტი ცემა კიდევ უფრო დაუღონდა.
ბოლმამ მწარემ, მძიმე წყლულთან გმირს ენაც კი დაუკავა,
და სიცოცხლე წუთიერი მან ამით დაათავა!..
გავიდა დრო. . მთებს გადაღმა, შორს საფლავი გამოსჩანდა,
თავზე ედგა ყვავილებით შებურვილი ალეანდრა;
და, დაცემულს ბრძოლის ველზე, ეს მცენარე ახლაც ახლავს,
სდარაჯობს ის წლიდან-წლამდე, წითელ მხედრის წითელ საფლავს!..

იონა ვაკელი.

# ჩვენს წითელ ჯარში

## კვირაობა.

2-ოქტომ. თფილისის სამხედრო მთავარ ნივთ-საწყობში საქ. ჯარების პოლიტ-განყოფილების მიერ მოწყობილ იქნა კვირაობა. კვირაობის მიზანი იყო ნივთ-საწყობში მილიარდებათ ღირებულ საქონლების, ბუშლატების, მაზარების, ქურქების, ქუდების და სხვა და სხვა ნივთების წესრიგში მოყვანა, რომლებიც ამდენხანს გ. მენშევიკების, მათი ბრძანებლობის დროის დაუდევრობის გამო, საშინლად ფუჭდებოდენ და იჩენჩებოდენ.

კვირაობაში მონაწილეობას ღებულობდენ ქართულ ლაშქრის სხვა და სხვა ნაწილების არმიელები, რიცხვით 236-კაცი.

სამუშაო იყო მძიმე, შეიძლება ითქვას, ჯოჯოხეთურიც. მაგრამ ამხ. არმიელებმა შეგნებულებმა მით, რომ ეს ქონება არ არის კერძო, არამედ მათია მუშა-გლეხების. ეკვეთენ სამუშაოს, ისე ერთგულად, რომ ამ მუშაობის შემყურეებმა, რომლებიც ამდენხანს დასცინოდენ წითელ-არმიელებს და ამბობდენ: აი, დამაარსებელნი საბჭოთა ხელის უფლებისა და კომუნიზმისა“-, თავბრუ დახვეულნი იყვნენ წითელ-არმიელთა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობით.

კვირაობაში მონაწილე ი შიმშილიც კი დაავიწყდათ, ისე იყვნენ მუშაობით გართულნი. მხოლოდ დღის 2-საათზე კი ისინი მიიწვიეს სადილზე. სადილი იყო შვენიერი. არმიელების დაურიგეს ნახევარ-ნახევარი ბოთლი ღვინო და გირვანქა-ნახევარი პური. სადილს მადიანად შეექცენ არმიელები, რის გათავების შემდეგ, ამხ. არმიელები ისევ ხალისით შეუდგენ მუშაობას. 5 საათამდის გაგრძელდა კვირაობა, რის შემდეგ, ყველა მხიარული სახით და სიმღერით ჩასხდენ ავტომობილებში და გაემართენ თავთავიანთ ნაწილებისკენ.

საკმაოა, რომ მოეწყოს ასეთი კვირაობა კიდევ ორჯერ, რომ გადავარჩინოთ გაოხრებისაგან ის აუარებელი ნივთები, რომლებიც დღეს ფუჭდება მთავარ ნივთ-საწყობში, რითაც დიდიხნით უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ჯარი, როგორც ტანისამოსით, ისე ფეხსაცმელებითაც.

არ შემიძლია კიდევ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა აქ ზოგიერთ სამკომებზე, რომლებიც, სხვა და სხვა მიზეზების გამო, მუდამ წუწუნებენ და სტირიან დღევანდელ ეკონომიურ კრიზსებზე. ეს კი მიუტოვებელია. მიუტოვებელია მით უმეტეს სამხედრო კომისრისთვის, რომლებსაც მინდობილი აქვთ ასობით და ათასობით გარდაქმნან პოლიტიკურად არმიელები. შეიტანონ მათში შეგნება ჩვენი მომენტისა იმ კრიზისების, რომლებსაც გმირულად უნდა შეხვედრა და არა ლაჩრულად. ამისთვის კი საჭიროა ჯერ თვის სამკომები იყვნენ რკინის სულით გაჟღენთილი, რომ მათ დიდმა გაჭირვებამაც კი ვერ შეუხაროს წარბი და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლოს მუშათა და გლეხთა მოსისხლე მტრებს. და აი მაშინ, როდესაც წით.-არმიელი შეხედავს ასეთი ცეცხლის სულით ანთებულ თავის კომისარს, ისიც შეგნებულად გადაიტანს ყველა გაჭირვებას და ალფრთოვანებული გასწევს წინ, წინ ბრძოლის ველისაკენ.

სამაგალითოდ ყველა სამხედრო კომისრებისთვის უნდა ჩაითვალოს კვირაობაში მონაწილე 1-ი ლეგიონის სამკომის ამხ. ელიაშვილის და მძიმე არტილერიის სამკომის ამხ. ილიუშინის საქციელი. უკანასკნელის მიერ წამოყვანილი წითელ-არმიელთა და უფროს შემადგენლობათა რიცხვი, რომლებიც შეადგენდენ სამოც პროცენტს კვირაობაში მონაწილეთა, შვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებდენ ყველაზე თვისი ბეჯითი და მუყაითი მუშაობით.

მაშ, ვუსურვოთ კიდევ ჩვენი არმიის ნაწილებს ასეთი ხალისიანი და გმირული მუშაობა, და ვუსურვოთ საქ. ჯარების პოლიტ-განყოფილებასაც ხშირათ მოწყობა ასეთი კვირაობისა, რომელიც სხვასთან ერთად, გარდაქმნის და აღორძინებს ჩვენს რესპუბლიკას ეკონომიურად და პოლიტიკურადაც.

გაუმარჯოს ძმურ კოლექტიურ თავისუფალ შრომას.

გაუმარჯოს საქ.-წით. არმიის, რუსეთის არმიის მიმდევ მაგალითებს და გაუმარჯოს რუსეთის წითელ ლაშქარელებს, პირველ ლამპართ მოფილიო პროლეტარიატის დიქტატურისას.

კვირაობის ხელმძღვანელი:

ე. მეგენეიშვილი.

## ქ. ქუთაისი

სექტემბერის 21 რიცხვს, ქუთაისის გარნიზონმა იდღესასწაულა კავკასიის ცალკე არმიის (ყოფილი მე-11-ე არმიის) არსებობის სამი წლის თავი. ეს ის არმიაა, რომელიც უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ფოლადისებური მარჯვენით მუსრს ავლებდა საბჭოთა სამფლობელოს შინაურ კონტრ-რევოლიუციას, მათ დამხმარე გარეშე მტრებს, რომელსაც წილად ხვდა კავკასის განთავისუფლება; ეს ხვედრი მან სასახელოდაც შეასრულა. ამდღეს გაიმართა აღლუმი ქართველი და რუსის ჯარების მონაწილეობით. აღსანიშნავია და მეტად სასიამოვნო ის გარემოება, რომ სხვა ჯარებთან ერთად, № ქართული პოლკის წითელ-არმიელთა მოხდენილათ გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე, რაც ნათლად მოწმობს მას, რომ პოლკი თავის სიმაღლეზე სდგას. ეს, ეჭვი არ არის, მიეწერება პოლკის უფროსს, ამხ. ლ ე ვ ქ ტ ა ძ ი ს ენერგიულ შრომას. სულ ორი თვე იქნება, რაც ხსენებული ამხანაგი მეთაურობს პოლკს და მის ცხოვრებას ყოველ დარგში გაჯანსაღება დაეტყო. სრული იმედი გვაქვს, რომ პოლკი სასახელოდ შეასრულებს იმ მძიმე საქმეს, რომელსაც მას აკისრებს მუშათა კლასი.

გაუმარჯოს კავკასიის ცალკე ძლევამოსილ წითელ არმიას და მის მოძმე საქართველოს ნორჩ წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ბ. დუნდუა.

## საქ. წ. თ. ლაშქრის პირველი სარაიონო კლუბი „კომუნარი“

8 სექტემბერი. საკავშირო და მესანგრე ათასეულების კულტურულ-განმანათლებელი სექციის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა ა. ცაგარელის ცნობილი დრამა „ციმბირელი“. მოთამაშეები, გარდა ერთისა, ყველანი წითელ-არმიელები იყვნენ. წარმოდგენა საუცხოოდ ჩატარდა.

13 სექტემბერი. შესდგა საკავშირო ათასეულის წითელ-არმიელების მცირე რიცხოვანი კრება. ამხ. ჭნუქიძემ და ცხოვრებაშვილმა წაიკითხეს და გაარჩიეს მუხლობრივ მთავრობის დეკრეტი № 41 წითელ-არმიელებისა და სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების დაკმაყოფილების შესახებ. შემდეგ, განუმარტეს წითელ-არმიელებს, ქუჩაში მავალ პროვოკატორების მიერ მოგონილ ჭორების უსაფუძვლობა, ვითომ და მოსალოდნელ ომის შესახებ ანტანტის სახელმწიფოებთან. ანტანტის სახელმწიფოების მთავრობებს არ შეუძლიათ ებრძოლონ შეკავშირებულ საბჭოთა რესპუბლიკებს, რადგანაც ამის საშვალებას არ მისცემენ იქაური მუშები. დასასრულ, მოაგონეს ამხ. წითელ-არმიელებს სამსახურის ვალდებულებები და დეზერტირობის საზიზღრობა. ამხ. მინდიაშვილმა გააკეთა მოხსენება ლოტბარის მოწვევის საჭიროების შესახებ. კრებამ დაადგინა: 1) ყოველი ღონის ძიებით ებრძოლონ პროვოკატორებს, 2) მოწვეულ იქნეს ლოტბარი, მსურველთათვის სიმღერების სასწავლებლად და გუნდის მოსაწყობად. კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

18 და 19 სექტემბერს, საკავშირო ათასეულის წითელ არმიელები მონაწილეობდენ, წილკანის რაიონში სარწყავ არხის გასაყვანად წარმოებულ მუშაობაში. მონაწილეობდენ ყველა განწესებიდან თავისუფალნი. მუშაობას ხელმძღვანელობდა ამავე ათასეულის მოლარე, ათასეულში ცნობილი კომიკი ბაგრატ ლითანიშვილი. ეს, როგორც ყველგან, ისე აქაც, ყოველ მოხერხებულ დროს, ართობდა და ახალისებდა წითელ-არმიელებს, კვიმატიანი სიტყვებით, ანეკდოტებით, სიმღერებით ცეკვათამაშით და სხვა, რის გამოც, მუშაობა სწარმოებდა სამაგალითო ხალისით. სამუშაო მოცემული ინჟინერ-ინსტრუქტორის მიერ დამთავრდა 6 საათით ადრე. დარჩენილ დროით ვისარგებლეთ არაგვის პირზე ვასასეირნებლად და არე-მარის დასათვალიერებლად.

აქაც ხელ-მძღვანელი და მომღერალი იყო იგივე ბ. ლითონიშვილი. დავათვალიერეთ სოფელ-ქვეყანა ბაღ-ვენახებით და მიდამოებით. მდინარე არაგვის ნახვამ ვებერთელა კალაპოტით და სწრაფი მიმდინარეობით მოგვაგონა ლექსი „მირბის არაგვი, არაგვიანი“. მიუხედავათ მდინარის სიჩქარისა და წყლის სიცივისა, ბევრმა ვიბანავეთ არაგვში. სადგურ მცხეთაში მოგვიხვდა კარგა ხანი ლოდინი, რაც თუ ჩვენი ხელმძღვანელი არა ძლიერ მოსაწყენი იქნებოდა. დავბრუნდით თბილისში 19 სექ. ღამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საათზე.

21 სექტემბერი. საკავშირო და მესანგრე ათასეულების სარაიონო კლუბში დაიდგა ილია ჭავჭავაძის დრამა „ბატონი და ყმა.“ ყველა როლებს ასრულებდენ წითელ-არმიელები. სცენაზე უკრავდა საზანდარი. წარმოდგენის შემდეგ, ბ. ლითანიშვილის თაოსნობით გაიმართა ცეკვა-თამაში, რამაც ძლიერ გაამხიარულა მაყურებელნი. წარმოდგენა დასრულდა ღამის 12 საათზე.

28 სექტემბერი. მსურველთა თხოვნის თანახმად, ამავე, პირველ სარაიონო კლუბში, დაიდგა მეორედ დრამა „ციმბირელი“. წარმოდგენა ჩატარდა პირველზე უკეთ. უკრავდა საზანდარი. წარმოდგენის შემდეგ, საერთო დარბაზი გაანთავისუფლეს სკამებისაგან ცეკვა-თამაშის მოსაწყობად.

ცეკვა-თამაშს ხელ-მძღვანელობდა ბაგრატ ლითანიშვილი. ქალები, რომელნიც ყველანი ამავე ათასეულების თანამშრომლები იყვნენ, პირველ მიზეზიანობდენ და არ მიყვებოდენ გამწვევ მოთამაშეებს. ბოლოს, ისინიც ჩათრეულ იქნენ საერთო მხიარულებაში; თუმცა კი უხალისოთ. ისმოდა ძლიერი ტაში და წაქეზების ხმები. დასრულდა ღამის 12 საათზე.

სამხედრო კორესპონდენტი

ე. კერესელიძე.

## ვისაც ჩვენ ვძულვართ ის ნურც მოვა ჩვენთან.

შოთა რუსთველის პროსპექტზე გავლის დროს სხვა აფიშებთან ერთად, შევნიშნე აფიშა, რომლის სათაურში ეწერა „ყოფილ ქართულ კლუბში“ ამა და ამ პირთა მონაწილეობით გაიმართება და სხვა.

ჩემი ყურადღება აქ სათაურმა „ყოფილმა ქართულმა კლუბმა“ მიიპყრო.

ყოფილი ქართული კლუბი დღეს საქართველოს წითელი ჯარის ცენტრალური კლუბია.

მაგრამ რაღაცატომ წარმოდგენის გამმართველებს ეთაკილებათ, ალბათ, რომ ამ წარწერას არ ათავსებენ აფიშაზე. იქნებ, მათ ისიც ეზარებათ და ეთაკილებათ, რომ ჩვენ, წითელ-არმიელებს, გვაქვს ჩვენი კლუბები, სადაც ვიძენთ პოლიტიკურ განათლება-განვითარებას?! იქნებ, მათ ისიც ეთაკილებათ და ეზარებათ, რომ ჩვენ მუშებსა და ღარიბ-ღატაკ გლეხის შვილებს, წითელ-არმიელებს, სრული ნება გვაქვს თეატრებში, კლუბებში და ბალებში სიარულისა? ა ევილი შესაძლებია, მათში დარჩა ძველი კანონები, რომლის ძალითაც მხოლოდ ძაღლებსა და ჯ. კ. არ ქონდათ ნება ბალებში და კლუბებში სიარულისა.

მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს და არც გვაღონებს; მხოლოდ მათ, ვისაც ჩვენ ვეზარებით, ვისაც ჩვენი კლუბების სახელის ხსენებაც კი შიშსა გვრის, ნება არ უნდა ქონდესო ჩვენს კლუბებში წარმოდგენის გამართვისა.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ჩვენმა პოლიტიკურმა განყოფილებამ.

ვისაც ჩვენ ვეზარებით, ის ნურც მოვა ჩვენთან.

წითელ-არმიელი პეპო.

## დამშეულთა სასარგებლოდ.

მანგლისი. 11 სექტემბერს №: მუშა-გლეხთა მსროლელ პოლკთან არსებულ ვოლგის მხრის დამშეულთა დამხმარე კომისიამ პოლკის კლუბში გამართა საღამო-წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი ვოლგის მხრის დამშეულთა სასარგებლოდ გადაიდო.

მეორე საღამო გაიმართა 19 სექტემბერს. წითელ-არმიელთა სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქმნა ქართულად: ს. „ქურდი“ ვოდ. 1 მოქ., რუსულად; „გედის სიმღერა“ 1 მოქ. და დივერტისმენტი, სადაც წითელ-არმიელებმა წაიკითხეს, ლექსები და სცენები; დასასრულ ცეკვა-თამაში გაიმართა.

საღამომ მხიარულად ჩაიარა და დამსწრენიც მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. შემოსავლის 35% დამშეულთა სასარგებლოდ გადაიდო.

საღამოებიდან შემოსული ფული 460.000 მან. გადაეცა საქ. ცენტრ. დამხმარე კომიტეტს. აგრეთვე გადაცემული იქმნა შეგროვილი 9 ფუთი კართოფილი და 4 ფ. 15 გ. ქერი. წითელ-არმიელებმა და პოლკის თანამშრომლებმა შესწირეს ექვსი თვის ჯამაგირი.

დამხმარე კომისია განაგრძობს შემოწირულების მოგროვებას.

სამხ. კორესპონდენტი ბერიძე.

## პირველი ნაბიჯი.

მიუხედავათ იმისა, რომ სულ ეს არის ეხლა დაიწყო არსებობა №-საარტილერიო დივიზიონმა, ამავე დივიზიონის სამკომის ამხ. ნევიუშინის დაუღალავ შრომის წყალობით, უკვე შევძელით მოგვეწყო მთელი რიგი განსაკუთრებითი წრეებისა; როგორც მაგ. წრე სააგიტაციო-სალექციოსი, საშკოლო-სამკითხველოებისა და სათეატრო-საკლუბოსი.

ყველა ზემოხსენებული წრეები თანდათანობით ალვიძებენ თავის მუშაობას. სათეატრო წრემ კი, მოსწრო წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში დაედგა წარმოდგენა ქართულ და რუსულ ენებზე საკონცერტო განყოფილებით. რადგან ყველა მომქმედნი პირნი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ყველა წითელ-არმიელნი, ამისათვის წარმოდგენის გამართვაში დიდი დახმარება გაგვიწია თბილისის საუკეთესო ძალებმა; როგორც მაგ. ირლოვმა, ანტონოვმა (კომიკია) ჯურიმ და სხვამ. დივიზიონის სათეატრო წრიდან მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ილიუშინმა, ავსიანიკოვმა, კორინთელმა, სამხარაძემ და სხვებმა.

მიუხედავათ ცუდი ამინდისა, მაყურებელი დაესწრო ბევრი, რომლებმაც გამოიტანეს წარმოდგენიდან შვენიერი შთაბეჭდილება.

მე, როგორც სამხედრო კორესპონდეტი, ვადევნებ რა თვლ-ყურს დივიზიონის სხვა და სხვა წრეების მუშაობას, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა წრეებიც არ ჩამორჩებიან სათეატროს და ყველა სექცია კულტურ-განმანათლებელ კომისიისა დადგებიან თავის სათანადო სიმაღლეზე, რაც დიდ მაგალითის მაჩვენებელი იქნება საქართ. წითელი არმიის ყველა იმ ნაწილებისათვის, სადაც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი, ისეთი საკულტურო-საგანმნათლებო ორგანიზაციები, როგორც ავწერეთ ზემოთ.

სამხედრო კორესპონდეტი ი. ზ.

## კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა

### საავტომობილო გუნდში.

დიდი ხნის ენერგიული შრომის შემდეგ, როგორც იყო ვიშოვეთ პიანინო, რაც, საშვალებას გვაძლევს, მოვაწყოთ მიტინგ კონცერტები და კინო-სეანსები. პირველი კინო-სეანს-მიტინგი საავტომობილო გუნდში შესდგა ხუთშაბათს 29 სექტემბერს; მიტინგის გახსნის წინ, ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ხიხაძემ, შემდეგ თემაზე „კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ძველსა და ახალ ჯარში.“ მომხსენებელმა ნათლად აღნიშნა ის ყაზარმული პირობები, რომელშიაც სული ეხუთებოდა და გონება ეჩლუნგებოდა, ძველ იმპერიალისტური დროს, მუშათა და გლეხთა შვილებს.

შეადარა საბჭოთა მთავრობის წითელი არმია, ყოფილ მენშევიკურ ჯარს; აღნიშნა განსხვავება მათ შორის და ის, თუ როგორი ყურადღებით ეკიდება საბჭოთა მთავრობა ჯარის პოლიტიკურად და კულტურულად განვითარებას; იმედი გამოსთქვა, რომ შეგნებული წითელ არმიელი, მიუხედავად მიმართულებისა, ხელს შეუწყობს ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს, რომ ამ რიგად მომზადებული წითელი ლაშქარი შეიქნეს ნამდვილი დამცველი მუშურ-გლეხური ინტერესებისა. ამხ. ხიხაძის მოხსენებამ დიდად იმოქმედა კრებაზე, სადაც იყვენ შეკრებილი ბევრი მოწინავე მუშები.

ამის შემდეგ, აჩვენეს სურათი „ვეროლომსტვო“. პირველ კინო-სეანს მიტინგით დიდათ ნასიამოვნები დამსწრენი ღამის 11 საათზე დაიშალენ.

ვუსურვებ საავტომობილო გუნდის პოლიტ-განმანათლებელ კომისიის თავჯდომარეს თავის ამხანაგები გამოვეყვანოთ ისეთი ენერგიული მუშები, როგორიც თვით არის.

პირველ კინო-სეანს-მიტინგით დიდათ ნასიამოვნები დამსწრენი ღამის 11 საათზე დაიშალენ.

სამხედრო კორესპონდენტი

ი. ნიკოლაშვილი.

## ქართული წითელ ჯარების სამხედრო კომისართა მორიგი კრება.

1 ოქტომბერს შესდგა ქართული წითელი ჯარების ბრიგადების და პოლკების სამხედრო კომისართა მორიგი კრება. კრებაზე დაესწრენ ზოგიერთი სამაზრო კომისარიატის სამხედრო კომისრები.

თანამედროვე მომენტზე სიტყვა სთქვა პოლიტიკურ განყოფილების უფროსმა, ამხ. ო კ უ ჯ ა ვ ა მ. შემდეგ მოხსენება გააკეთეს სამხედრო კომისარიატის სხვა და სხვა ნაწილების უფროსებმა. ბრიგადის, პოლკების და აგრეთვე სამაზრო კომისარიატების მოხსენებიდან აშკარა შეიქნა მთელი ის სურათი, რომელსაც წარმოადგენს დღეს ჩვენი ნაწილები.

კრება დამთავრდა 2 ამ თვეს.

რედაქტორი— პ. ბუაჩიძე.

ტირაჟი. 2500 სტამბა სამხედრო კომისარიატისა. ნ. დ. ს. ცენზურიდან.